893.962-1
ჭ-345

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ედიშერ გიზოს ძე ჭელიძე

ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია

სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთა"-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი ნაშრომისა

შემოსულია № 73
13 " 10 1997

თბილისი
1997

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილებაში.

სადისერტაციო საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მ. შანიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ც. ქურციკიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დ. მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რ. სირაძე

-1567-

წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 16 ოქტომბერს 12 საათზე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს (P10-11. C №8) სხდომაზე კ. კეკელიძის სახ. ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. მისამართი: 380093 ზ. რუხაძის ქ. №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ზ. რუხაძის ქ. №1)

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მელიქიშვილი

-1567-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომად წარმოდგენილი მონოგრაფია მიზნად ისახავს ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინების ანალიტიკურ შესწავლას მათი ბერძნული (და, ნაწილობრივ, ლათინურ-სომხური) ეკვივალენტების კონტექსტში. აღნიშნული მიზანდასახულობა გულისხმობს აურაცხელი ტექსტობრივი მასალის ფილოლოგიურ, ქრონოლოგიურ და კომპარატიულ ტერმინოლოგიურ კვლევას. ამოცანა წინამდებარე ნაშრომისა სავსებით კონკრეტულია: წარმოჩნდეს მეტნაკლებად სრული სურათი ქართული ქრისტიანული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა (პირველქმნადობისა) და მისი ეპოქალური ცვალებადობისა. კვლევის ამგვარი გეზი არ არის თვითშემოზღუდული, ე.ი. იგი არ შემოიფარგლება მარტოდენ ტერმინთა ადეკვატური თუ არაადეკვატური ურთიერთშესატყვისობების ძიებით, არამედ თავის თავში მოიცავს განზოგადებულ დასკვნებსაც, რაც უკავშირდება ერის შემეცნებითი მოღვაწეობის ისტორიას. ამრიგად, ამოცანა წინამდებარე ნაშრომისა კონკრეტულია: ძირითადი საღვთისმეტყველო ტერმინების ანალიტიკური (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური და სემანტიკური) შესწავლა, ხოლო მიზანი, რაც დამოკიდებულია დასახული ამოცანის წარმატებულ გადაჭრაზე, გლობალური შინაარსისაა: ძველი ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ტერმინოლოგიური ისტორიის აღდგენით წარმოჩნდეს, როგორც აღინიშნა, ერის წვდომითი, შემეცნებითი მოღვაწეობის გზა უძველესი დროიდან (V ს.) მოგვიანო საუკუნეებამდე (XII-XIII სს-ის ჩათვლით).

მიზანდასახულობა შრომისა თავისთავად განაპირობებს კვლევის ორგვარობას: (I) ძველი ქართული მასალების თავმოყრა, მათი დამუშავება, დაჯგუფება და რაობის დადგენა; (II) აღნიშნული მასალების ანალიზი ზოგადქრისტიანულ კონტექსტში, რაც იქნებ საშუალებას გვაძლევდეს მოვნიშნოთ პირველი არსებითი წერტილები ზოგადად "ქრისტიანული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ისტორიისა", რომელიც, ალბათ, მომავალში დაიწერება.